ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11/75

ქ. თბილისი 1 აპრილი 2015წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი დირექტორის მურად ხარაიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/კ 202177205, ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5.) (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის შენიშვნები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ადგილი

2.1. ხელშეკრულების საგანია 2 (ორი) ცალი აკუმულატორის (Exide EXCELL 74 ა/ს EB740) (CPV-31431000) (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2.2. მიწოდების ადგილია მომწოდებლის სერვის ცენტრი, ქ.თბილისი, დიღომი-ბელიაშვილი.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. ხელშეკრულების ობიექტია შემსყიდველისთვის 2.1 პუნქტში მითითებული საქონლის მიწოდება.
3.2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 414.50 (ოთხასთოთხმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.
4.3. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემსყიდველის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.
7.3. შემსყიდველი განახორციელებს ანგარიშსწორებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და/ან სათანადო ანგარიშფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის ვადაში.
7.4. ანაზღაურების ადგილი: ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ფასის ანაზღაურება.
- მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

1.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეს რომელსაც მიადგა ზიანი, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 11 მაისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მხარეებისგან.

1. _____

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე აპელირების უფლებას და ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს ცნობით. დადასტურება არ არის აუცილებელი საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის შესრულების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: 1) სატრანსპორტო მომსახურების ჯგუფის უფროსი - ირაკლი ზურაბიშვილი;
2) იურიდიული სამსახურის სპეციალისტი - ირაკლი კურცხალია;

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ (2) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

1. _____

15.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

15.7. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

15.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ „საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტო“ ს/კ 204522793
ქ.თბილისი, დადიანი/გალაქტიონის №13/18,
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მურად ხარაიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ 202177205
ქ.თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ,№5.
სს „თი-ბი-სი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853

თემურ ჯოხოძე
გენერალური დირექტორი

---

1. _____

1. გიორგი კერესელიძე - საფინანსო სამსახურის უფროსი